

ჯარის ნაწი-
ლებს უფასოდ
გზავნებათ.

21 ნოემ. 1920 წ.

მხედარი


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფა.ი 25 მან.

№ 25

ორგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. საქმისა.

№ 25



მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

მთავრობის თავმჯდომარისაგან.

რესპუბლიკის ყველა დაწესებულებების უფროსებს, ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს და აფხაზეთის კომისარიატს.

№ 5637.

ის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურე პირნი, რომელნიც უკანასკნელი მობილიზაციის ძალით, ვალდებულნი

არიან ჯარში წავიდნენ, დაუყოვნებლივ და ყოველ მიზეზის გარეშე უნდა გამოცხადდნენ თავიანთ სამხედრო აღრიცხვის უფროსებთან და მით სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადონ.

ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და სასტიკად დასჯილნი, როგორც ჯარში გაწვეულნი ისევე მათი პირდაპირი უფროსები.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

575-1

7464

Handwritten notes and stamps in the bottom right corner, including a purple rectangular stamp with illegible text and a signature.

დამფუძნებელი კრების მოწოდება ქართველ ხალხისადმი

საქართველოს ხალხო!

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყულ საზღვრებს კვლავ ემუქრება თავბელი მტერი.

უსაშინელესი ტანჯვით დაუძლურებული სომხეთი დიდის ტანჯვით უწევს წინააღმდეგობას ქემალ ფაშის ბრძოლებს: დაეცა ყარსი, სომხეთის საუკეთესო სიმაგრე, ოსმალებმა დაიპირეს გუმბრი (ალექსანდროპოლი).

სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას.

ჩვენი ისტორიული მტერი, რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს, არ სცნობს ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას — ვერ ურიგდება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენ საზღვრებში არსებობას, ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩვენზე თავდასხმისათვის.

მოსალოდნელია, რომ სომხეთზე გამარჯვებით გათამამებული ქემალ ფაშა მთელი თავისი ძალღონით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.

ოსმალთა შიშველ-ტიტველი, დამშეული ბრძოლები ოცნებობენ ჩვენი მშვიდობიანი, ქალაქების გაძარცვას, ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარჩოსაბადებლის გაზიდვას.

ოსმალებს ამხნეებს 1918 წლის გამარჯვების ტკბილი მოგონება — საქართველოში იმათ ბათიმის დაცემის დროინდელი მოშლილი ჯარი და მოუწყობელი სახელმწიფო ეგულებათ.

მაგრამ თქვენ, საქართველოს შვილნო იცით, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში არა ერთი მძიმე საფრთხე უნახავს ჩვენს ხალხს, არა ერთი სასტიკი ომი გადაუხდია.

და ყოველი დაბრკოლება გმირულად გადაულახავს მას. პირნათლად გამოსულა უმძიმესი გაჭირვებიდანაც კი, თქვენ იცით, რომ მრავალ ბრძოლაში გაკაჟდა ჩვენი ქვეყნის დამცველი ჯარი და გვარდია; მრავალ განსაცდელში გამოიჭედა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე...

იმ დროს, როცა სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა დამარცხებული ძველი ოსმალეთი, განაზღვრული საქართველოს ძალა სიმტკიცე იზრდებოდა დღით დღე.

და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენ სიმტკიცეს, ის დაინახავს ამას, როცა პირისპირ შეეტაკება ჩვენ

სახელოვან მეომრებს. მაშინ მოიგონებს ის ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლებს, მოიგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმამრებს და ვაუტყველ ვაჟაკობას.

ქართველო ხალხო!

შენი თავისუფალი დემოკრატიული სამშობლო ისევ განსაცდელშია და შენგან არჩეული დამფუძნებელი კრება კვლავ თავდაცვისათვის მოვიწოდებს.

სამშობლო მრავალგვარ მსხვერპლს მოითხოვს.

შემოკრბი შენი დამფუძნებელი კრების და მთავრობის ირგვლივ, დაიცავით შიგნით წესიერება.

სიყვარულით და მზრუნველობით მოეპყარით ჩვენ ფრონტს.

იქონიეთ შეუდრეკელი რწმენა მტერზე გამარჯვებისა და მაშინ სახელოვანი იქნება ჩვენი ბრძოლა.

ბრწყინვალე იქნება ჩვენი გამარჯვება.

ისევე ფრონტი.

დიდი ხანი არაა, რაც მოკისვენეთ, ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა, ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, შინაური საქმეების მოწყობას შეუდევით, მაგრამ მტერს შეშურდა. და აი გაანადგურა რა მეზობელ სომხეთის რამდენიმე დაბა-ქალაქი, ჩვენსკენაც მოიწევს.

ჩვენ არ ვიცით გადმოლახავს მტერი ჩვენს საზღვრებს თუ არა, გაბედავს ის საქართველოზე თავდასხმას თუ არა, მაგრამ გათამამებულმა სომხეთზე დროებითი გამარჯვებით, შესაძლებელია არც ჩვენ დაგვეტოვოს უყურადღებოთ და მოინდომოს თავისუფალ საქართველოში შემოქრა.

თავისუფალი, ძლიერი საქართველო! ეს ხომ შიშის ზარია ოსმალეთის ავანტიურისტებისათვის. და თუ მან მართლაც გაბედა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე გამოსვლა, ჩვენ ისევ გავგიჩნდება ფრონტი.

ჩვენი სამხედრო ძალა კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს, როგორც თავხედ მტერს, ისე მთელ ქვეყანას, რომ ის არავის შეესევა, ხოლო შემოსეულ მტერს კი შესაფერ პასუხს გასცემს.

ჯერ ომი არ დაწყებულა... თოფი არ გავარდნილა, მაგრამ მდგომარეობა სერიოზულია.

გამოცხადდა მობილიზაცია. ერთსულოვნად ჩატარებული მობილიზაცია თავდება ომში გამარჯვებისა.

ზურგის გამაგრება, მთელი რესპუბლიკის ფრონტთან გადაბმა დაკავშირება—აი, ჩვენი დღევანდერი ლოზუნგი.

ფრონტის დამხმარე კომიტეტებო! განაახლეთ თქვენი მუშაობა-მოქმედება.

ჩვეულებრივი, უხვად დამხმარე ხელი გაუწოდოთ შინ დარჩენილებმა—ფრონტზე წასულთ. ვერავეითარმა შინაურმა დარდმა და ვაჭივრებამ ვერ უნდა დაჩრდილოს ფრონტის დახმარების, ფრონტის გამაგრების საქმე.

ფრონტის დამხმარე უმთავრესი კომიტეტი ტფილისში ანახლებს რა მუშაობას,—მოუწოდებს ყველას დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას.

პრეზიდიუმი..

გენერალური შტაბისაგან

(12 ნოემბერი 1920 წ. № 4433).

შესაცვლელად და დაბატებათ ამა წლის 11 ნოემბრიდან № 4393 (მობ. ტელეფონოგრამის მეორე და მესამე მუხლებსა), მთავრობის თავმჯდომარემ ბრძანა:

1) სამხედრო ერთეულებ—დაწესებულებებში და აგრეთვე სახალხო გვარდიაში მყოფნი სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი ნებით დაქირავებულნი მოსამსახურენი დაუყოვნებლივ გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურში, თანახმად მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცთა გასაწვევ დასტურლამის 15 მუხლისა თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით. გვარდიის და ჯარის ერთეულებისა და დაწესებულებათა უფროსებმა უხლავე წარმოადგინონ სია იმ ნებით დაქირავებულთა, რომელნიც აუკილებლად უნდა დარჩნენ თავიანთ თანამდებობაზე. ამ სიების გასაშინჯავათ შესდგეს კომისია გენერალური შტაბის ნაწილთან გვარდიისა და ამ ნაწილის თითო წარმომადგენელთა შემადგენლობით.

2) 20 ნოემბრამდის გამოცხადების ვადა მიეცეს აგრეთვე თემების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

თავდაცვის სამსახურში.

(მასწავლებლის საუბარი ჯარის-კაცებთან).

ქემალ-ფაშას შემოტევამ სომხეთზე და ამ უკანასკნელის სამხედრო დამარცხებამ ფეხზე დააყენა ჩვენი ქვეყანა. საქართველო მეომართა ბანაკად იქ-

ცა და გარს შემოგველო სადარაჯოები. ჯერ მტერს არ გადმოუბიჯებია ჩვენი საზღვრები, აქტიური მოქმედების ნიშნები მისგან არ სჩანს. მხოლოდ იმდენად გვაქვს შეგნებული ეროვნული სიბრძნე „სიფრთხილეს თავი არ ასტკივო“ და ძველი რომაელების თქმულება—„თუ მშვიდობიანობა გინდა, ომისთვის ემზადეო.“—უკვე შევითვისეთ. მით უმეტეს სიფრთხილედ გვმართებს, როცა ჩვენს წინაშე ამარცხულია ოსმალეთი, რომელსაც გარდა შეუბრალებლობა-ბარბაროსობისა ომის დროს, დიპლომატიური სივერაგეც ახასიათებს. ეს ერთგვარი ქკუა, მოხერხება მოტყუების ნიჭია, რომლითაც ოსმალეთი არის დაჯილდოვებული და რომელიც ჰშველის მას ხშირად დამარცხებების განადგურებასაც თავი დაახწიოს და თუ გამარჯვება აქვს მოპოვებული, მტერს გამოორჩეს ფეხ-ქვეშ განრთხმულ მოპირდაპირეს. ჩვენ ახლო წარსულშიაც მივიღეთ ამის მწარე გაკვეთილი, როცა ჩვენ საზავო მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ოსმალეთთან, მათ ჯარები ჩუმად მოაყენეს ბათუმს და კიდევაც წაგვართვეს 1918 წელში. ახლა ჩვენ ასე ადვილათ აღარ მოვტყუვდებით.

ქართველობას ამ საფრთხის დროს სამი მხრით გვიჭირავს თვალი. პირველი: სომხეთისკენ, რომლის ქალაქების ყარსისა და გუმბრის (ალექსანდროპოლის) დამხობით ოსმალებს პირდაპირ გაეხსნათ გზა ჩვენი სამშობლოსკენ. ისინი ჩვენი მოსახლვრე შეიქნენ. ეს გარემოება აასკეცებს საფრთხეს, რომელიც ჩვენ ამ მიმართულებით გვემუქრება. მეორე მხარე, რომელიც ჩვენთვის აგრეთვე მტკივნეულია, ეს არის სამაჰმადიანო საქართველო, განსაკუთრებით ბათუმის ოლქი. ეს კუთხე ოთხასი წლის განმავლობაში ძალით ჩამოშორებული იყო დედა საქართველოს და ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოქცეული. მათ მოახერხეს რჯული გამოეცვალათ ჩვენი ძმებისთვის, ქრისტიანები გაემაჰმადიანებიათ, მხოლოდ ეროვნების ნიშანი—დედაენა ვერ დაავიწყებინეს. დღეს ქემალ-ფაშას მომხრეები სწორედ ამ ოლქს გვედავებიან, მათ ასულდგმულებს იმედი, რომ მაჰმადიანი ქართველები იმით მხარეზე გადავლენ, საამისო მუშაობას იწარმოებენ, პროკლამაციებს ავრცელებენ ხალხის ასაღელვებლად. მესამე საშიშროება ჩვენ გვაქვს აზერბეიჯანიდან, სადაც ბოლშევიკები არიან გაბატონებული ბოლშევიკ-კომუნისტების, მოსკოვში, ბაქოში, ტფილისში ამ უკანასკნელ დღეებამდე თავის ძმად ნაფიც მოკავშირედ თვლიდნენ ქემალ-ფაშას და ზეიმობდნენ მისი გამარჯვებული მსვლელობის ყოველ ნაბიჯს.

ვის არ ახსოვს გაზეთებში წერილები, ჩვენებური კომუნისტების, რომლებითაც ამართლებდნენ ქემალ-ფაშას შემოტევას სომხეთზე, ამითი ოსმალებს ზურგის უზრუნველ-ყოფა უნდათ მხოლოდ და მათი მოძრაობა მიმართული ანტანტას წინააღმდეგ ნამდვილათ რევოლუციონურიყო. ყველა იმის შემდეგ, როცა ჩვენ ვიცოდით, რომ აზერბეიჯანი სულით და გულით ოსმალეთის მომლოდინეა, მოსკოვისა და ტფილისის კომუნისტები მათი გამარჯვებას ნატრობენ. ჩვენ გული საგულეს ვერ გვექნებოდა ამ მხრითაც მართალია რუსეთთანაც და აზერბეიჯანთანაც მეგობრულ განწყობილებაში ვიყოფებით, მაგრამ მეოცე საუკუნეში სამწუხაროდ პირობებს და ხელშეკრულებებს ისეთი სიმარე აღარ აქვთ, რომ შეიძლებოდეს საბოლოოდ მათზე დაყრდნობა.

ამრიგად ჩვენს გარშემო იკვრება საშიშროების რკალი, რომელიც ებჯინება კავკასიონის ქედს ჩრდილოეთით, ამ ერთად ერთს ჩვენს ბუნებრივს ძლიერ საფარს. რასაკვირველია ეს გარემოება ოდნავათაც არ ასუსტებს საქართველოს თავდაცვის მტკიცე გადაწყვეტილებას, პირიქით მეტს დაყინებით ხასიათს ანიჭებს ჩვენს სამხადისს, რაც არის უეჭველათ თავდები იმისა, რომ ჩვენ შედარებით იოლად შევძლებთ შემოგროვილ შავი ღრუბლების გაფანტვას. ამაში ხელს შეგვიწყობს კიდევ რამდენიმე ახალი მოვლენა, ზოგი მოსალოდნელი და ზოგი მოულოდნელი, რომლებიც თავის გავლენას მოახდენენ ჩვენს საერთო მდგომარეობაზე: პირველი: ნოემბრის 7 სომხებსა და ოსმალებს შორის სამხედრო მოქმედება შესწყდა, ჩამოვარდა დროებითი ზავი და სომხების ჯარებმა ოსმალების მიერ ნაჩვენებ ხაზამდის დაიხიეს. გუმბრი და 9 ვერსი მიწა-წყალი მის ირგვლივ დარჩა ქემალისტების დროებით გამგებლობაში. ეს ფაქტი, რასაკვირველია, სომხების ძალიან დიდ დამარცხებას მოასწავებს, რადგანაც გუმბრის დაკარგვით სომხეთი საბოლოოდ მოწყვეტილი რჩება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან და ერთად ერთ თავის კულტურული მეზობელ საქართველოდან. მაგრამ „ძალა აღმართს ხნავსო“ ნათქვამია და სომხებიც ამ ძალას დაემორჩილნენ. ეს ჩვენ მდგომარეობას საგრძობლად აუარესებდა, რადგანაც მართოდ ვრჩებოდით ქემალ-ფაშას ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ მდგომარეობა შეტრიალდა, რაც არ იყო მოულოდნელი, და ოსმალების წინადადება, რომ სომხებს მთელი იარაღი, რკინის გზები და მათი მოძრავე შემადგენლობა 24 საათში გარდაეცათ ოსმა-

ლებისთვის — სომხეთის მთავრობამ დამამცირებლად და მიუღებლად ჩასთვალა. ამის გამო ნოემბრის 11 სამხედრო მოქმედება მათ შორის კვლავ განახლდა. არის ცნობა, სომხებმა რამდენიმე სოფელი დაიბრუნესო გუმბრის მიდამოებში; აგრეთვე ცნობაა, თითქოს სომხებს გუმბრიც უკანვე დაებრუნებოდა. ასეა თუ ისე, სომხებს, როგორც სჩანს გადაუწყვეტათ, რომ „სჯობია სიცოცხლესა ნაძრახსა სახელოვანი სიკვდილი“ და ამიტომ განაგრძობენ ბრძოლას. ეს რასაკვირველია ჩვენთვისაც ხელსაყრელია და მთელი ჩვენი თანაგრძნობა საესებით იმათ მხარეზეა.

რაც შეეხება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენი მდგომარეობა იქაც საიმედოა ვინაიდან სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისი (სათათბირო), იმათი არჩეული პირებისაგან შემდგარი, გარკვევით ჩვენს მხარეზეა. მეჯლისმა ქემალ-ფაშას აგენტების აგიტაციას დაუპირდაპირა თავისი მოწოდება მაჰმადიან ქართველებისადმი, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული ყველა ის მოსახრებანი, თუ რატომ უნდა იყვნენ ისინი საქართველოს მხარეს და არ უნდა აჰყვენ ქემალისტების პროვოკაციას, რომ სამაჰმადიანო საქართველოს ექნება საქართველოს ფარგლებში ავტონომია (თვითმართველობა) და იმათ საწმინოების შეხებას არავინ ფიქრობს და არც არავის მოსვლია ფიქრად ეს განზრახვა საქართველოშიო.

მესამე გვერდი ჩვენი თავდაცვის რკალისა — კომუნისტური მეზობლებიც არ არიან ერთი შეხედულების ქემალ-ფაშას გამძლავრებაზე — ბაქოში, მაგალითად: ორი მიმართულება გაჩენილა, ერთი მაჰმადიანი კომუნისტები, რომლებიც მოითხოვენ პირდაპირ დავებმართ ქემალ-ფაშასო. მეორე — რუსი — კომუნისტები, რომლებიც უკვე საშიშრად სთვლიან მის მოახლოვებას ბაქოს დაკარგვის ფიქრით. ადვილათ შესაძლებელია აზერბეიჯანელებმა ქემალ-ფაშა თავის მხსენლად დაისახონ და შური იძიონ ბოლშევიკ-რუსებზე, რომლებმაც განჯა და ზოგი სხვა ადგილები იავარ-ჰყვეს და გაანადგურეს თავის შემოსვლის პირველ დღეებში. ასეა თუ ისე ბოლშევიკურმა გაზეთებმა კილო იცვალეს და ამ მხრით საყურადღებოა რუსული „Комунисть“-ის უკანასკნელი ნომერთაგანი, სადაც ჩვენს მისამართზე გაზეთი ამას პრძანებს: „თქვენ მოითხოვთ, რომ ქემალმა იცნოს საქართველოს სუვერენული უფლება მთელ ტერიტორიაზე ისე, როგორც გამოხატულია საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებაში? თქვენ



ნი მოთხოვნები სრული სამართლიანია და ქემალის ვალდებულება რასაკვირველია. იცნოს მოსკოვსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოს საზღვრებში მთლიანად შედის ბათომის ოლქი. თუ ქემალმა არ სცნო ეს ხელშეკრულება, მას საქმე ექნება არა მარტო საქართველოსთან, არამედ პროლეტარულ რუსეთთან. მნიშვნელოვანია ასეთი აზრები ბოლშევიკური გაზეთის ფურცლებზე. შავმა კატამ გაირბინა ან იგი შხად არის გაირბინოს გუშინდელ მეგობრებ შორის. ამბობენ, ინგლისი იჭერს კავშირს ქემალ-ფაშასთან, სტამბოლში მისი დასტურით ოსმალეთის ახალი მთავრობა შემდგარა, რომელიც მორიგებას აპირებს ქემალ-ფაშას პარტიასთან თურმე, ეს იწვევს დაშორებას რუსეთ-ოსმალეთისა და იმედს უღვიძებს ადერბეიჯანლებს შემოჭრილ რუსეთის განდევნისა.

როგორც უნდა იყოს, ერთი ცხადია, ჩვენთვის ამ უცნაურ შავ-წითელ კავშირის დარღვევა ფრიად სასიხარულო მოვლენაა და ჩვენ იმედის ნიშნები გვებადება, რომ მოსალოდნელ შეტაკების დროს ოსმალეთის იმპერიალისტებთან, ჩვენი მეზობელი რუსები და მათი ხელქვეითი აზერბეიჯანლები მახვილს ზურგში აღარ ჩაგვცემენ.

რასაკვირველია ყოველივე ეს ანელებს საფრთხის სიმძაფრეს, მაგრამ ოდნავათაც არ გვარიდებს მას. ქემალ-ფაშა ჯერჯერობით გამარჯვებული კვლავ სომხეთს ეომება, თვალი რასაკვირველია ჩვენსკენაც ხარბად მოუშტერებია. საქართველოს მთავრობას სისწორით აქვს შეგნებული ქვეყნის მდგომარეობა, ამიტომ დამფუძნებელი კრების დასტურით და მოწონებით ის განაგრძობს თავდაცვის სამუშაოს. გამოცხადებულია ნაწილობრივი მობილიზაცია 1890, 1891, 1892, და 1893 წ. დაბადებულითა, რომელიც ბრწყინვალედ მიმდინარეობს, სახალხო გვარდია უკვე ფეხზე დგას. სიმები დაკომულია, ქვეყანა დამზადებულია, საქართველო თვით არ მიუხდება „მაგრამ მომხდურ მტერს წინ დახედება როგორც ლომი“.

დასასრულ აღსანიშნავია, დამფუძნებელი კრების მოწოდება საქართველოს ხალხისადმი, რომელიც განმარტავს თუ რა შედეგებს გამოიწვევს ოსმალეთის შემოსევა, სახელდობრ — „ოსმალთა შიშველტიტველი, დამშეული ბრბოები იცნობენ ჩვენი მშვიდობიანი ქალაქების გაძარცვას, ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარჩო-საბადებელის გაზიდვას“. ოსმალებს ამხნევენ 1918 წლის გამარჯვების ტკივილი მოგონება საქართველოში იმათ ბათომის და-

ცემის დროინდელი მოშლილი ჯარი და მოუწყობელი სახელმწიფო ეგულებათ, მაგრამ როგორც ამ მოწოდებაშიაც არის ნათქვამი, ოსმალეთი ხაზინალად სცდებიან. საქართველო მტკიცედ სდგას თავის დამოუკიდებლობის დაცვის ნიადაგზე „და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენს სიმტკიცეს, ის დაინახავს ამას, როცა პირდაპირ შეეტაკება ჩვენ სახელოვან მებრძოლებს. მაშინ მოიგონებს ის ჩოლოქის ბრწინვალე ბრძოლას, მოიგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმამაცეს და გაუტეხელ ვაჟაკობას.

რასაკვირველია, ჩვენი მთავრობა ეცდება ამოწუროს ყოველივე საშუალება სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, როგორც ეს ხშირად მოუქმენდნია წარსულშიაც, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მაინც განუწყვეტელ თავდაცვის სამუშაოსში უნდა იყვეს, რომ თუ დაჰყავს საბედისწერო საათი და მტერი შემოგვიტევეს, როგორც ერთი კაცი წინააღმდეგეთ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდი ვიბრძოლოთ ჩვენი ღვიძლი დედის სამშობლო — საქართველოს დასაცავად.

სავლე აბულაძე.

სამშობლოს დაცვა.

საქართველოს დედა-პატრონი, თვალი და ყური ჩვენი დიდებულ ერის დამფუძნებელი კრება მოუწოდებს თავის სამშობლოს საყვარელ შვილებს ერის სასიკვდილო გადასარჩენათ.

დამფუძნებელი კრება აუწყებს ქართულს ერს, რომ მათი სისხლით მორწყულ საზღვრებს თავხედი მტერი ემუქრება.

ჩვენი ისტორიული მტერი საქართველოს კარებს კვლავ მოადგა და სახელმწიფოებრივ უფლებებს და საქართველოს ერის წმინდათა-წმინდას გადალახვას ემუქრება.

სისხლით დაკლილი სომხეთი გმირულად განაგრძობს სამშობლოს დაცვას და თუ ვერ შესძლო მტრის მოგერება, ამას მოჰყვება მოელი ერის და სახელმწიფოებრივი უფლებების განადგურება.

სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოსაც.

ოსმალთა ფაშები ჩვენ არ დაგვინდობენ და მოითხოვენ ჩვენ საქართველოს ბათომის კარების გასაღებს და მის ოლქის შეერთებას. ამით ოსმალ-ფაშებს ჰსურთ ჩვენს ჩვენი ერი და ჩამოსქრან ის ნაწილი, რომელიც ასულდგმულებს მთელ ერს.



ჩვენ ძმებს აქარლებს ქართველ მუსულმანებს, უქადის ოსმალეთი კვლავ დაიპყროს და მძიმე უღელი დაადვას, და რასაკვირველია, მის შემდეგ შეეცდება ქართველი ერი გაანადგუროს და მისცეს ცეცხლს ჩვენი სახლ-კარი.

ოსმალებს ეგულებათ ის ჯარი, როდესაც მან 1918 წ. ბათომი დაიჭირა, როდესაც ჩვენ არ გვექონდა სახელმწიფოებრივი აპარატი მოწყობილი, როდესაც შინაური და გარეული მტერი არ გვაძლევდნ საშუალებას საქართველოს სახელმწიფოს მოწყობისას, მაგრამ მის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო გაიზარდა და თავისი სხეული მკვიდრათ შეამაგრა.

ოსმალ-ფაშებს ნუ ავიწყდებათ, რომ მას აქვს ეხლა საქმე ძლიერ საქართველოსთან, რომელმაც დიდი ხანია სული მოიღვა.

მთელი ჩვენი ერი გარშემორტყმია ჩვენს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას; ჩვენ გვყავს მედგარი ჯარი და სახელოვანი გვარდია ქართველ ერს არა ერთხელ უნახია მტრისაგან გასაჭირი, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულებულა.

ჩვენს წინაშე სდგება მორიგი საკითხი: ქართველი ერის სიკვდილისაგან გადარჩენა.

დამფუძნებელი კრების მოწოდება ყველა ქართველს გულში ერთნაირად დაუვლის; და ყველა ქართველს აუბგერდება გული, მოიგონებს იმ მწარე დღეებს, რომელიც მოელის იურქების ბრბოებიდან ჩვენს სახლ-კარს.

ნუ თუ ნებას მივსცემთ ჩვენ მტრებს, თურქებს ჩვენი ხორც-სისხლი გლიჯონ?

ნუ თუ მოიპოვება ისეთი ქართველი, რომ იმ ენსაზარმა მოსალოდნელმა უბედურებამ არ აუბგეროს გული? არა!

ისტორიულად ქართველმა იცის მხოლოდ სათათრეთზედ გამარჯვება და ამით ყველა თურქმა იცის რა არის გურჯი და მისი ომში გამოცდილება და ამას მგონი ყველა მათგანი გაუწევს ანგარიშს.

კიდევ ომი, კიდევ სისხლი და სამშობლოსაგან გამოღებული უმანკო მსხვერპლი.

კიდევ აუარებელი ხარჯი, შიმშილი და სიცოცხე.

მაგრამ რად გვინდა ფული, სახლი, კარი, თუ არ იქნება ქართველი ერი; რად გვინდა ჩვენ სიცოცხლე თუ თავისუფლების მოსიყვარულე ქართველი ერი და მისი წმიდათა-წმიდა შეიბილწება.

რად გვინდა თავზე ქუდი თუ შეურაცყობთ ჩვენს მძლავრ ქართველ სულს?

მივცეთ დასაგლეჯათ ჩვენი ერი თურქებს? არა.

გაითვალისწინეთ დროებით უბედური სომხების მდგომარეობა, როგორც გარეთ სიცივეში ყინვა და თოვლში წიფვივობენ პატარა ბავშვები, ძმები და დები.

ქართველი ერი ანას ვერ მოითმენს.

საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრება იმედოვნებს, და მთელ იმედს ამყარებს ჩვენ შეიარაღებულ ლაშქარზე, რომ ჩვენი მხედარი კვლავ პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას ერის წინაშე.

ვეცადოთ ჩვენი მამა-პაპათა ძვლები საფლავში არ წავწყმინდოთ.

ერის უბედურება, და წყვეა-კრულვა, თავიდან ავიცილოთ, არ გავხდეთ ერის შემარცხვენილი, არ გავტეხნოთ ჩვენგნივ დადებული ფიცი ერისა და მთავრობის წინაშე.

ჩვენი მამა-პაპათა სისხლით მორწყული მინდვრებში კვლავ არწივებივით შევებრძოლოთ მტერს და სამშობლოსათვის თავი გავწიროთ.

ყვაე-ყორნებმა შესჭამონ ჩვენი ძვლები თუ ამას მოითხოვს ჩვენი ერის ბედნიერება.

არ წავწყმინდოთ ჩვენი პაპა-პაპათა სული, არ გავახაროთ ჩვენზე მტერი.

სირცხვილი იმ ქართველს, ვინც გაექცეს ერის უბედურებას, ვინც არ დაიხუროს ვაჟკაცის ქული და არ გაიზიაროს ქართველი ერის სიღუბსიერე!

მაკარი რუსიშვილი.

ლენინი და ქემალი.

ლდეს ჩვენს ირგვლივ მრავალი სხვა და სხვა საგულისხმიერო ამბებია, ზოგი მათგანი შორს ხდება: ინგლისში, საფრანგეთში, გერმანეთში და სხვაგან, ზოგი კი ახლოს: რუსეთში, სათათრეთში. საინტერესოა ახლობელ ქვეყნებისმებარაიხტრეთა — ლენინ და ქემალი ფაშის ხელშეკრულობის დასურათება, რომელიც მოგვცემს ნამდვილ სურათს მათი სულის კვეთებისას.

ჩვენ ვხედავთ ერთ მხარეზე საქანელაზე ბოლშევიკებს, მეორეზე — ოსმალებს. ერთი ჩრდილოეთის პოლიუსზეა მეორე სამხრეთისაზე.

რა არის მათ შორის საერთო?

აი კითხვა, რომლის პასუხი მოგვცემს მთელს შინაარსს მათი განძრახვის. წინდაწინ შეიძლება ითქვას მათ შორის კორდინალურ წინააღმდეგობის



მესანგრე ათასეულის თეატრის რეჟისორი.
სოკრატ სულთანისვილი.

მეორედ დიდ სარგებლობას გაუწევდა კულტურულ საქმეს ყოველ დღიური გაზეთის გამოცემა, რომელიც ჩემი აზრით იქნებოდა ორგანო (თუ შესაძლებელი იქნებოდა) ჯარის-კაცთა და სახალხო გვარდიელების. ეს გაზეთი უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებდა და ხელს შეუწყობდა ამ ორ ძმების შორის მჭიდრო კავშირის შექმნა, ეს გაზეთი გახდებოდა საერთოდ საქართველოს სამხედრო ძალთა ორგანო. ამით ჩვენ შეგნებული და გამოცდილი ამხანაგებიც გვეყოლებოდა და გაზეთის გამოცემა და მისი უზრუნველყოფა მასალების მხრითაც ადვილი გახდებოდა.

ჩვენ გვაქვს დღეს ჟურნალი „მხედარი“, რომელიც ვერ შეასრულებს ყოველივე მოთხოვნილებებს, ვერ შესძლებს იმას, რასაც შესძლებს ყოველ დღიური გაზეთი. ამ გაზეთის გამოცემით ჩვენ შეგვიძლია სხვა გაზეთები უფრო ნაკლები გავგზავნოთ ნაწილებში ვიდრე ეხლა. თუ ეხლა ყველა ათასეულში იგზავნება 8—8 ცალი ყველა მიმართულების გაზეთი, მაშინ გავაგზავნით 4 ან სამ სამ ცალს.

ხოლო თუ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი გახდება, მაშინ საქაროა ჟურნალის კვირეში ორხელ გამოცემა მაინც.

უნდა ვიქონიოთ სახეში აგრეთვე სცენის საქმე. ქართველი ხალხი ძლიერ ეტანება სცენას და ამიტომ უფრო მეტი ყურადღებით მოვკიდოთ ხელი. იმედია მომავალი ყრილობა ყურადღებას მიაქცევს ამ საგნებს და სასურველად მოაწესრიგებს მას.

საწყალი მუშა.

სამუსაზრდო

დრამატული სურათი ერთ მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

1. ილიკო — (ტყვე).
2. ციხის უფროსი.
3. დარაჯები.
4. ექიმი.
5. ექიმის თანაშემწე.


მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს საკანეს, დიდი კარი შვავში გამოჭრილ სათვალთვალთოთი, აღმოსავლეთისკენ დარკინული პატარა ფანჯარა. რკინის ლოგინი, კედელზე მიბურღული, ჩალით გატენილი ლები, ბალიში, საპანი, სასტუმალთან კედელზე ჰკიდია შინელი, პირსახოცი, ტანისამოსი ყველა სახელმწიფოა. იქვე ხის მაგიდა, აწყვი: ჯამი, კოვზით, საქმელისთვის ჯამი წყლით, შავი პური მარლი. ილიკოს აცვია წინ გახსნილი ნაცრისფერი ტუყურკა, თავზე შალის ქუდი. ფეხში ბორკილებით. ილიკო დადის, რაღაცას ფიქრობს, ხელებს აქნევს, ვიღაცას ელაპარაკება, ხან მიაჩერდება ერთ წერტილს, ხან სახე გაელიმება, შემდეგ დაჯდება ლოგინზე და თავზე ხელებს შემოიდგამს, ამ დროს ციხის დარაჯი ბრაზუნ-რაჩუნით შემოადებს საკანის კარს, შემოუტანს პურს, წყალს და მარლს.

ილიკო: (თავს არ აწევს) შეიძლება გკითხოთ, რომელი საათია, ადამიანო?

დარაჯი: (ცივით) არ შეიძლება და საქაროც არ არის თავისუფლების მატარებელი აღარ მოვა, გზაში უბედურება შეემთხვა, შიგვიძლია დამშვიდდე... ჰამე პური (შეჩერდება ხალხისკენ) დილინდელი პური ჯერაც არ შეუქამია... (ირონიით) ალბათ „გოლოდოვკას“ აცხადებს, „ზაბასტოვკას“ ჩვეული ხა, ხა. ხა! უკეთესიც არის: იქნება შიმშილით აღრე გაემგზავროს ჩვენ მამაპაპებთან და... ერთი ნაკლები იქნება, მათზე ზრუნვა შეგვიმცირდება, მოვისვენებთ ცოტათი მაინც. (ილიკოს) ჰა, ჰამე პური და მადლობელი იყავი, რომ ჩვენი ხელმწიფე—მეფე იმდენათ გულკეთილია, რომ კიდევ ზრუნავს შენისანა. მოლაღატებისათვის...

ილიკო: (პაუზა, თავს აწევს, ღიმილით) მადლობელი... ზრუნავს... პური!.. არა, თუ რამე დამიშავებია და ამისთვის დამსაჯეს—დაცინვას რაღას



მ. გეგეჭკორი.

გარეშე საქმეთა მინისტრი ამჟამად იმყოფება ინგლისში.

ჯარს დაახმარა მისი უფროსი ძმები მუშები გვარ-
დიის სახით გამოსახსნელად, გამოიხსნა თავისი შვი-
ლი, გააგებინა მას მისი შეცდონა და მოიყენა ისევ
გვერდში. პირველად ჯარი მაინც ვერ ხედავდა
თავის მხსნელებს და სამკვდრო სასიცოცხლო ომ-
საც კი უცხადებდა მას, მაგრამ ეს მალე შეიტყო
ჯარმა და უკან დაიხია. მას შემდეგ დაიწყო შეც-
დომების გასწორება ყველამ ვისაც ასეთი კი ჩაედი-
ნა და სულ მოკლე დროში ჩვენ შეგვექმნა მშვე-
ნიერი ერთგული და შეგნებული ჯარი.

ჩვენი ჯარი დღითი დღე ვითარდება და ყო-
ველ საათობით წინ მიიწევს შეგნებით, გამოცდი-
ლებით, ერთგულობით და სხვებით. მხოლოდ არ
შეიძლება არ შევეხო ზოგიერთ მიზეზებს, რომლე-
ბიც ხელს უშლიან ჩვენს ჯარებს უფრო გათვით-
ცნობიერებაში, ამ მიზეზებს შეიძლებისდაგვარად
გაეცნობ ჩემი პატარა წერილით, როგორც ჩვენს
ამხანაგ ჯარის-კაცებს, აგრე შეთავრობასაც.

როგორია ჩვენი ჯარი და როგორი წესიერე-
ბა არსებობს შიგ? ჩვენი ჯარი ნამდვილი რევოლი-
უციისაგან შექმნილი ჯარია, ჩვენი ჯარი შვილია
დიდი რევოლიუციისა. ჩვენი ჯარი გამოცდილია
ყოველგვარ გასაჭირებში, ჩვენი ჯარი ყველაზედ
უფრო ნაშრომიც და მოქანტულიც არის, მაგრამ
მას მოქანტვა მაინც არ ემჩნევა, ის მაინც მხნედ
მიდის საიდგანაც მას სამშობლო დაუძახებს. ესე
იგი ჩვენი ჯარი ნამდვილი ერთგული და თავგან-
წირული მოძმეა თავისუფლებისა და სამშობლოსი,
აი ასეთი ჯარი გვყავს ჩვენ.

როგორი წესრიგია ამ ჯარში?—წესრიგი სა-
უცხოვოა, მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს
ჯარში ყოველგვარ კულტურის შეტანის საქმეს
დიდად სცდილობს ჯარის-კაცის მდგომარეობის გა-
საუმჯობესებლად და სხვა, მაგრამ...

მაგრამ რა?—რა და ის რომ, მთავრობის მიერ
გამოცემული ბრძანებები ბევრი განუხორციელებე-
ლი რჩებიან. მერმე ვინ არის მიზეზი?



შტაბ-როტმისტრი მიქელაძე.

ვაკეში გამართულ ჯირითში მიიღო პირველი პრიზი.

წინა დღე რევიმის დროს, ჯარის-კაცები თუმცა ყველაფერ მახედ დაკისრებულ საქმეს კარგად ასრულებდნენ, მაგრამ, ისინი მაინც ყოველივეს მოკლებული იყვნენ, ყველა ოფიცერს შეეძლო ჯარის-კაცისათვის შეურაცხყოფა მიეყენებია, სადაც უნდოდა ხშირად მასხარადაც აეგდო ჯარის-კაცი, ხშირად მინახავს ქალაქის ქუჩაში ოფიცერი მიყვება ქალს, შემოხვდა ჯარის-კაცი, ოფიცერ თავს იწონებს ქალთან, აჩერებს ჯარის-კაცს, ათამაშებს როგორც მას სურს და ბოლოს თუ უკანასკნელმა რაიმე ვერ შეასრულა იქავე ლახავს, სცემს, და თანაც უარესებს ჰპირდება. კიდევ ჯარის-კაცმა რაიმე შეცდომა დაუშვა, მაშინვე მას სჯის იგრე, როგორც მაგალითად ადამიანს შეუძლია დასაჯოს მოსაშინაურებლად მოყვანილი ტყის ნადირი. ასეთი სასჯელები იყო 72 გირვანქიან ტვირთით თოფქვეშ. „პოდვინტოვოკ“ დადგომა ორ საათს. ასეთი სასჯელი ადამიანისათვის როგორი დამნაშავეც არ იყოს, დაუშვებელია, ეს სასჯელი ადამიანს არამც თუ გაასწორებს პირ-იქით გარყვნის და ამხეცებს.

მე მახსოვს ძველი დროის ოფიცრები (რასაკვირველია ზოგიერთები), რომლებიც თვითონ ასწავლიდნენ ჯარის-კაცებს ყაჩაღობას, ქურდობას, ლოთობას, გინებას და სხვებს. „მოიპარე მხოლოდ არ გაება“ ამბობდნენ ისინი „თუ გინება არ იცი, რის ზემდეგი ან მწყობრის თავი ხარო“, და აი ასეთი სწავლა იყო წინანდელ ჯარში. მაშინ ჯარის-კაცი ნამდვილი მონა იყო თავისი უფროსებისა. ვთქვათ, უფროსი შესცდა ან არ იცის და სთქვა „ეს ასეა“ ჯ.კაციც უნდა დასთანხმებოდა ასეო. უფროსი ამბობს, „სთქვი რომ შენ ვირი ხარ“ ჯარის-კაცი ეუბნება „ვირი ვარ“ და აბა ასეთი ჯარი გაამტყუნეთ თუ რად დააქციეს რუსეთი. მხეცად ზრდიდნენ, მხეცურად ეპყრობოდნენ და მხეცურად მოიქცნენ როცა თოკი მოუშვეს. ასეთი ჯარი იყო წინა დღე და ასე ეპყრობოდნენ მას.

ჩვენმა მთავრობამ ესენი უარპყო და დააღვა ჯარში უფრო მეცნიერებისა და სწავლის შეტანას, ჩვენი ჯარიც ხედავს ამას და იმიტომაა რომ მთავრობის ყოველ დაძახებისთანვე გვერდში ამოუდ-

გება, ჩვენი მთავრობა ცდილობს ჯარის-კაცი და ოფიცრები რაც შეიძლება შეაკავშიროს, შეაერთოს და მათში სიყვარული გააღვიძოს, ერთმანეთისადმი.

მხოლოდ საუბედუროდ ზოგიერთნი ჩვენი ოფიცრები ამას კიდევ ვერ ხედავენ და იმეორებენ ჩემს მიერ ზემოდ ჩამოთვლილს. ზოგიერთნი თავისი განკარგულებით ჯარის-კაცს აყენებს თოფქვეშ. (არ ვიცი, აქვთ ამის ნება თუ არა) ზოგნი სვამს სატუსაღოში თავის უფლებებზე გადაცილებით და სხვა. თუმცა ასეთი ოფიცრები ჩვენ ძლიერ ცოტანი გვყვანან, მაგრამ ერთი ძალღის ნაკბენი უფრო დაამახსონდება კაცს ვიდრე ათასი მოკეთის კოცნა. ამიტომ მე მგონია არ იქნება უკანონო ჩვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით, მიუთითოთ თავის საქციელზედ ჩვენს უფროსს ძმებს. მართალია, შევცდი ვერ მოგეცი სამხედრო სალაში სეირნობის დროს ბაღში, მაგრამ ამისთვის ნუ მიმაყენებ შეურაცხყოფას სახალხოთ. იცოდეთ, რომ როცა შენ მოგწონს თავი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერი ხარ, მეც მომწონს თავი, რომ მეც მისი ჯარის-კაცი ვარ. ნუ იფიქრებ იმას რომ მე შენგან განვირჩეოდეთ, სისხლით, ხორციით, ვაჟ-კაცობით ან სხვებით, არამედ მე განვირჩევი იმით, რომ არ მიმიღია შენდენი სწავლა, არ ჰქონია ჩემს მშობლებს იმდენი შეძლება, მეც შენსავით გამოვეზარდე.

მე რომ ნასწავლი და განვითარებული ვიყო განა მოვახდენდი იმას რაც დავაშავე? განა არ მოგცემდი სამხედრო სალამს? მაგრამ მაკლია მე შეგნება, განვითარება და ამიტომ შენი ვალია დამიახლოვდე თვითონვე მასწავლო, რასაც მოითხოვს პატიოსნება და წესრიგი. თორემ როცა მე იმისთვის სასტიკად მსჯი, მე მაშინ უფრო ნადირად ვხდები, შენი შეხედვა მეშინიან. სადაც შენ იქნები, იქ მე ვერ შემოვალ და ამით მე უფრო უსარგებლო შევიქნები. იყო წანად თქმა „ჯარის-კაცები კლუბებში და ასეთ დაწესებულებებში არ შევიდნენო“! მე თვითონ არ შევიდივარ იქ სადაც მე თავს ვერ მოვიხმარ, რატომ შეიძლება ოფიცრების შესვლა და ჯარის-კაცის არა? იმიტომ რომ ჯარის-კაცები იქ თავს ვერ მოიხმარებენ. მართალია და აი ამას გეხვეწებით ბატონო ოფიცრებო, რა იქნება დასჯის მაგივრად მასწავლო სად როგორ უნდა მოვიქცე? მიჩვენო უნდა მაგალითი, მანახო სხვა და მაშინ მეც შენი ნამდვილი ძმა ვიქნები.

ხელის აწევა და სალამის მიცემა განა ძნელია? მაგრამ როცა ამას შენ ძალათ, ვითომ შენთვის გინდოდეს, ისე მასწავლი მაშინ, რადაც შეძლებდა.

მე როგორც ძველი ჯარის-კაცი, კარგად ვიცნობ ჩვენს ოფიცრებს, მათში ბევრი კარგი ძირები არიან ბევრი ჩვენთვის თავდადებულენი არიან და ჩემი მხრივ დიდი მოხარული ვარ ასეთების, მაგრამ ზოგიერთების საქციელი კი დასაგმობად მიმაჩნია. ერთმა ჯარის-კაცმა მითხრა ამას წინედ „მე არც ბოლშევიკი მიყვარს არც მენშევიკი არც ფედერალისტი და არც სხვა როგორც ჩემი სამშობლო, მაგრამ ხანდისხან ისეთ საქციელს ვხედავ ზოგ ოფიცრებისას, მთავრობის იმედი რომ არ მქონდეს, ნამდვილად აქედგან გავიქცეოდიო“.

ეს სიტყვები მოწმობს და რომ ჩვენი ჯარის-კაცი მთავრობას უტყერის და თუ რაიმე შევიწროვებს ითმენს როდისმე ვინმესაგან, იმიტომ რომ მთავრობის იმედი აქვს.

შეტი ყურადღებაა საჭირო ბატონ ოფიცრებიდგან ჯარის-კაცებზე. ნუ დაზოგავთ თქვენს შრომას თქვენი ძმების საკეთილდღეოდ! ასწავლეთ განვითარეთ და თქვენთვისაც სასარგებლო იქნებიან!

გაუმარჯოს ერთმანეთ შორის სოლიდარობას მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ დავამარცხებთ ჩვენსა მტერსა, როცა ერთმანეთი უყვარს ჯარის-კაცს და ოფიცრებსა.

საწყალი მუშა.

კვირიდან-კვირამდე.

რესპუბლიკის დაცვის საჭიროებებისათვის მთავრობის განკარგულებაში გადაიღო 2.000,000,000 მანეთი.

თავდაცვის საბჭოს დარსება.

მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა: დაარსოს თავდაცვის საბჭო იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც იყო დაარსებული იგი თანახმად აპრილის 27 ბრძანებისა. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ჩხენკელი.

მ. კ. გეგეჭკორი ლონდონში.

„იზვესტია“ სწერს: თანახმად ინგლისის პრესის ცნობისა, ლონდონში ყოფნის დროს, საქართველოს გარეშე საქმეთა მირისტრს გეგეჭკორს რწმენა გამოუთქვამს, რომ ინგლისი კავკასიის გან-



თავისუფლების საქმეს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებით დაასრულებსო შემდეგ იზვესტია სწერს: ინგლისმა თავისი ყურადღება მიაპყრო კავკასიას, სადაც ინგლისის კაპიტალის მოქმედებას დიდი ასპარეზის ნახვა შეუძლიაო.

ზინოვიევის და ლოზოვსკის გამოსტუმრება.

„ტანი“ იუწყება: თანახმად გერმანიის მთავრობის განკარგულებისა გერმანიის საზღვრებიდან განდევნილებმა ზინოვიევმა და ლოზოვსკიმ დასტოვეს ბერლინი და შტეტანისაკენ გაემართნენ. საბჭოთა მოღვაწეებს სასჯუმროდან სადგურამდე გაძლიერებული პოლიციელების რაზმი მიყვებოდა, ზინოვიევმა და ლოზოვსკიმ მიიღეს ნებართვა შტეტინში ორი დღის დარჩენისა, შემდეგ ისინი უნდა წავიდნენ რველში.

ზარალი გაფიცვის გამო

გაზეთი „ვიკელი-დისპეჩი“ აქვეყნებს ცნობებს, თუ რა დაუჯდა ინგლისს მემლაროელთა გაფიცვა. ინგლისის ხალხმა დაჰკარგა: 4.500.000 ტონი ქვანახშირი. მემლაროელებმა დაჰკარგეს 5.400.000 გირვანქა სტერლინგი. 220.000 მუშა კი უმუშევრად დარჩაო.

რეპრესიები მენშევიკების წინააღმდეგ.

გაზეთი „ვოლია როსიის“ გადმოცემით ბალშევიკების რეპრესიები მენშევიკების წინააღმდეგ ჩვეულებრივ მოვლენად გარდიქვა. არ არის ისეთი ადგილი, რომ ბალშევიკების აგენტებმა არ დაიპირონ, არ დააბატომრონ მენშევიკები. ხშირად ეს დაბატომრება სიკვდილით დასჯით თავდება. რევოლიუციის ტრიბუნალმა ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა.

განათლებისაკენ.

როგორც ვიცით, სამხ. სამინ. კულტურულ სექციას აზრად აქვს მოიწვიოს ყრილობა ყველა იმ პირებისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურულ საქმით შემოქმედებითი მუშაობაში და ცოტად თუ ბევრად ახლოს უდგანან ამ საკითხს. ეს მიზანი დიდებულია, თუ მართლაც სისრულეში მოიყვანა მთავარმა სექციამ. მხოლოდ ჩვენ გვინდა ცოტად თუ ბევრად ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამის

შესახებ, და სანამ ყრილობა შესტეფრინდება შეუწყობთ ჩვენი აზრების გაცვლა-გაზიარებას.

რა უნდა გააკეთოს ყრილობამ? ან როგორი გზა უნდა აირჩიოს, რომ უფრო გააცხოველოს ჯარში კულტურული მუშაობა? ამის შესახებ მე მინდა ჩემი აზრები გამოვთქვა, როგორც ერთმა ჯარის-კაცთაგანმა, და მივცე მასალა ყრილობას, რათა მათ უფრო ნათლად ჩაიხედონ ჩვენს გულში. ყრილობამ უპირველესად ყურადღება უნდა მიაქციოს რათქმა უნდა სწავლა-განათლების საქმეს, მხოლოდ უნდა მოიტანოს ისეთი საშუალებები, რომელიც უფრო გაადვილებს ჯარის-კაცთა სწავლასთან დაახლოვებას, სწავლა დაძალებით არ შეიძლება. და სურვილით კი ვერ მივალწევთ მიზანს ლექციების კითხვა. უსწავლელებისათვის უმეტეს შემთხვევაში წყლის ნაკვა იქნება, თუ სხვა გზა არ მოინახა, ამიტომ ჩვენ უნდა შევექნათ ისეთი პირობები, რომლითაც ღვაინტერესოთ ყოველი ჯარის-კაცი თვითონვე აღეძრას სურვილი სწავლა-განათლების მიღებისა. წერა-კითხვის არ მკოდნე ჯარის-კაცთათვის ჩვენ შეგვიძლია იძულებითი საშუალებები ვინმართ და ასეთები ვასწავლოთ ეს კანონიერიც იქნება, მხოლოდ იძულებითი ლექციების სმენა კი მიზან მოკლებული და ჩემის აზრით არასასურველიც არის.

ლექციების კითხვა კი მხოლოდ მსურველებისთვის არის სასარგებლო, და უნაყოფოა მისთვის ვისაც მისი სმენა არ სურს.

შეიძლება ვინმემ სთქვას, თუ ლექციის სმენა არ დარჩა სავალდებულო არვინაც არ დაესწრებაო. შეძლება ეს აზრი მართალიც იყოს მაგრამ, მე ვამბობ რომ, ლექციის უმთავრესი მუხლები და საკითხები ისეთი უნდა იყოს, რომელიც ყველას დაინტერესებდეს და ხალისით ესწრებოდეს მას, მაგალითებ: როცა ჯარში ვინმე ლექციას კითხულობს ის ისეთ საკითხებს უნდა შეეხოს, რომელიც დღიურ ცხოვრებას შეეხება, მაგალითებ, წაიკითხეთ თქვენ ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაზე, კრიტიკებზე, და ასეთებზე ათასში ხუთი არ დაგესწრებათ, წაიკითხეთ ასტრონომიაზე, გეოგრაფიაზე, ჯარის შინაურ ცხოვრებაზე, მათ უფლებებზე, და ანახეთ და აჩვენეთ ნათლად მას ყოველივე ის საბუთები, რომელიც ლექტორმა მოიყვანა, მიეცით ნება მას შეკითხვის, გაათამამეთ თვითონაც, სადაც საჭიროდ სცნობს მიგითითოს შეცდომებზე, და მან უნდა ყველანი დაესწრებიან, და ყველასაც ხალისი ექნება ასეთ ლექციების სმენისა.



მესანგრე ათასეულის თეატრის რეჟისორი,
სოკრატ სულთანოვილი.

მეორედ დიდ სარგებლობას გაუწევდა კულტურულ საქმეს ყოველ დღიური გაზეთის გამოცემა; რომელიც ჩემი აზრით იქნებოდა ორგანო (თუ შესაძლებელი იქნებოდა) ჯარის-კაცთა და სახალხო გვარდიელების. ეს გაზეთი უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებდა და ხელს შეუწყობდა ამ ორ ძმების შორის მჭიდრო კავშირის შექმნა, ეს გაზეთი გახდებოდა საერთოდ საქართველოს სამხედრო ძალთა ორგანო. ამით ჩვენ შეგნებული და გამოცდილი ამხანაგებიც გვეყოლებოდა და გაზეთის გამოცემა და მისი უზრუნველყოფა მასალების მხრითაც ადვილი გახდებოდა.

ჩვენ გვაქვს დღეს ჟურნალი „მხედარი“, რომელიც ვერ შეასრულებს ყოველივე მოთხოვნილებებს, ვერ შესძლებს იმას, რასაც შესძლებს ყოველ დღიური გაზეთი. ამ გაზეთის გამოცემით ჩვენ შეგვიძლია სხვა გაზეთები უფრო ნაკლები გავგზავნოთ ნაწილებში ვიდრე ეხლა. თუ ეხლა ყველა ათასეულში იგზავნება 8—8 ცალი ყველა მამართულების გაზეთი, მაშინ გავაგზავნი 4 ან სამ სამ ცალს.

ხოლო თუ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი გახდება, მაშინ საქაროა ჟურნალის კვირეში ორხელ გამოცემა მაინც.

უნდა ვიქონიოთ სახეში აგრეთვე სცენის საქმე. ქართველი ხალხი ძლიერ ეტანება სცენას და ამიტომ უფრო მეტი ყურადღებით მოგვცოდნოთ ხელი. იმედია მომავალი ყრილობა ყურადღებას მიაქცევს ამ საგნებს და სასურველად მოაწესრიგებს მას.

საწყალი მუშა.

სამუსაღი (გეგმა)

დრამატიული სურათი ერთ მოქმედებათ.

მოამბედნი პირნი:

1. ილიკო — (ტყვე).
2. ციხის უფროსი.
3. დარაჯები.
4. ექიმი.
5. ექიმის თანაშემწე.

მოამბედება პირველი.

სცენა წარმოადგენს საკანეს, დიდი კარი შვამი გამოჭრილ სათვალთვალთოთი, აღმოსავლეთისკენ დარკინული პატარა ფანჯარა. რკინის ლოგინი, კედელზე მიბურღული, ჩალით გატენილი ლები, ბალიში, საპანი, სასტუმალთან კედელზე ჰკიდია შინელი, პირსახოცი, ტანისამოსი ყველა სახელმწიფოა. იქვე ხის მაგიდა, აწყვი: ჯამი, კოვზით, საჭმელისთვის ჯამი წყლით, შავი პური მარლი. ილიკოს აცვია წინ გახსნილი ნაცრისფერი ტუფურკა, თავზე შალის ქუდი. ფეხში ბორკილებით. ილიკო დადის, რაღაცას ფიქრობს, ხელებს აქნევს, ვიღაცას ელაპარაკება, ხან მიაჩრდება ერთ წერტილს, ხან სახე გაელიმება, შემდეგ დაჯდება ლოგინზე და თავზე ხელებს შემოიდგამს, ამ დროს ციხის დარაჯი ბრახუნ-რაჩხუნით შემოაღებს საკანის კარს, შემოუტანს პურს, წყალს და მარლს.

ილიკო: (თავს არ აწევს) შეიძლება გკითხოთ, რომელი საათია, ადამიანო?

დარაჯი: (ცივათ) არ შეიძლება და საჭიროც არ არის თავისუფლების მატარებელი აღარ მოვა, გზაში უბედურება შეემთხვა, შეგიძლია დამშვიდდე... ჰამე პური (შეჩრდება ხალხისკენ) დილინდელი პური ჯერაც არ შეუქამია... (ირონით) ალბათ „გოლოდოვკას“ აცხადებს, „ზაბასტოვკას“ ჩვეული ხა, ხა. ხა! უკეთესიც არის: იქნება შიმშილით ადრე გაემგზავროს ჩვენ მამაპაპებთან და... ერთი ნაკლები იქნება, მათზე ზრუნვა შეგვიმცირდება, მოვისვენებთ ცოტათი მაინც. (ილიკოს) ჰა, ჰამე პური და მადლობელი იყავი, რომ ჩვენი ხელმწიფე — მეფე იმდენათ გულკეთილია, რომ კიდევ ზრუნავს შენისანა. მოლაღატებისათვის...

ილიკო: (პაუზა, თავს აწევს, ღიმილით) მადლობელი... ზრუნავს... პური!.. არა, თუ რამე დამიშავებია და ამისთვის დამსაჯეს — დაცინვას რაღას

მემაართლებიან?! რისთვის მაფურთხებენ სულ — გულ-
ში, რისთვის სთელავენ ჩემ სინდის-პატიოსნებას?!
ჰმმ.. დარაჯი! ვუცქერი ამდენი წელიწადია, ვუც-
ქერი და ვგონებ სახე ადამიანის აქვს, ისე-კი მხე-
ცია, მხეცი ორ-ფეხი.. ან კი რა ქნას? მასაც არსე-
ბობა უნდა, საქმელი, ჯამაგირი... რასაც უბრძანე-
ბენ ისიც ასრულებს. არ ესმის საბრალოს, გონება
დაბნელებული აქვს, და როცა გაუნათლდება მაშინ
ნამდვილი ადამიანი იქნება, ადამიანი... მარა, გუ-
ლი-კი, გული ოოჰ! ეს წყეული გული.. (ახველებს)
ექიმიც არის და ფერშალიც აფთიაქი და საავათ-
მყოფო. რამდენჯერ არ მოვიტხოვე, რომ გავეშინ-
ჯე, წამალი მოეცათ... მარა არვინ ყური არ მათ-
ხოვა.. არა გიშავსო. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... ან
კი რა უნდა მომიხდეს, აქ წამალი უმფრო სა-
წამლაია... ახველებს (პაუზა) დარაჯი! მხეცი არა-
რის, მაგრამ ისიც მართალია, რომ ადამიანი დაიბა-
დოს ერთ-ერთს პირობებში, და 20-30 წელი ამ
პირობებში გაიზარდოს და იცხოვროს, — პირობები
დაღს დააჩენს; კარგი იქნება ეს თუ ცუდი, ადამიანი
გახდება ან მხეცი... მოიშორეთ ეს პირობა, ეს ძი-
რი და მაშინ... (წამოდგება. ხმას ასწევს) მე კი
მსურს ჩემი დარაჯი ადამიანი იყოს... მაშინ აღარ
მიდარაჯებს... (დაბალი ხმით ერთი სიტყვა, რ
არის, სიტყვა სასიამოვნო მისგან არ გამოგონია..
(პაუზა) მადლობელი იყავიო?.. (იციინს) ჰმ! ამ პური
სთვის (იღებს შავ პურს და ზეღს), ცომი... (და
ახველებს) და შემდეგ — ჩემო გული აი ამ საზრ-
დოს გამოგიგზავნი და უეჭველათ მოიკეთებ... პუ-
რი! პური ჩვენი არსობისა! ეჰ, რავდენი ოფლ
დაგიღვრია საბრალო ხალხო ამ პურის მოყვანაში.
მაგრამ შენი ხელით გამომცხვარს კი არ წავაგვს..
(კუთხეში მიაგდებს).. დედის გამომცხვარი პური
სხვა იყო... (ხანგრძლივი პაუზა, თითებზე რაღა-
ცას ითვლის, გაივლის, შეჩერდება იციინს, მუშ-
ტით, ემუქრება ჰაერში, ღიღინებს: „ყვავილოვან
დროს ვიგონებ მის გამო სევდით ვმკუნდები“...
შემდეგ: „ყველასათვის კარგი მსურს ბოროტების
მტერი ვარ!“... გაჩერდება შუა სცენაზე. ხელებ
დაღლივებული ხალხისკენ იცქირება ღმილ თა-
ვის ქნევით) დუმილი! სასტიკი, სულ-გულის მომ-
შხამვლელი დუმილი!. რომელ ქვეყანაშია, ან ვის
გაუგონია. რომ ცოცხალ კაცს სამარეში ამწყვდევ-
დენ?! სიჩუმე.. ოოჰ, მტანჯველი სიჩუმე.. სიჩუმე
ქარიშხლის — წინამორბედიო იტყვიან, — იქნებ გა-
მართლდეს?! მაგრამ. არა, რას ვამბობ! ჩემი ბორ-
კილი არ არის სიჩუმეს ჩვეული და ისიც ხმაუ-
რობს, ხმაურობს და დარაჯს ეუბნება: აქ არის, არ

გაპარულაო!.. გაპარულა წასულა იქ, თავისუფლე-
ბასან... მხოლოდ წუთით დედას გულს მივსება
ისე, ისე როგორც პატარობისას, დღე-ღამე
მკნარ ძუძუებს მოხუცი ბავშვი და ბავშვივით სი-
ხარულის ცრემლები დავღვარო!.. ჰმ! ოცნება, რა
ძლიერი რამა ხარ?.. მამა?! ისწავლე, ისწავლე შვი-
ლო და შენი კარგი კაცობა, შენი სწავლით გამა-
ხარეო!. ჩემ გულ-კეთილ მამას მხოლოდ თავისთვის
უნდოდი, მარტოთ მის სასიამოვნებლათ!.. შენ
კარგი ხარ მამავ, როგორც მამა და ადამიანი... რომ
შენი ქალარა წვერს, კვლავ ხელს მომაველებდე, რო-
გორც მაშინ, როცა მუშაობიდან სახლში მოსული
ამიყვანდი ხოლმე დამკოცნიდი, მე კი შენ წვერებს,
ვკიჩავდი, ვეთამაშებოდი, და ჩამიხუტებდი დაოფლი-
ანებულ გულ-მკერდში, ხომ, აჰ?! თუ იქნებ ახლა
მიწყრები?! არა, არა შენ არ იცი გაწყრება, შენ გეს-
მის ჩემი მდგომარეობა... ოჰ! რა კარგი ხარ ახალ-
გაზრდობავ, რომ კვლავ დამიბრუნდებოდე.. არა
ახლაც იგივე ვარ, რაც წინათ ვიყავი, იგივე მხო-
ლოდ... რომ არ გიშვებენ?! გამიშვიო, გამიშვით
თქვენ წყეულებო.. უუჰ! (მუშტს მარტყამს კარს).
დარაჯი: ხომ არ გაგიჟდი?! დაჩუმიდი შე მო-
ლალატევე! წყნარათ იყავი, თორემ ვირის აბანო,
კარცერი ხომ იცი? ეხლავე ხელებს გაგიტოკავ!..
ილიკო: (ღმილით) ფეხები უკვე შეკრული
მაქვს და ახლა ხელებსაც ის მოეღოს... მერე რის-
თვის?!.. ეს ხომ ჩემი სახლი არის და უფლება
მაქვს ვიციხო თუ ვატირო, ვიბრახუნო თუ წყნარათ
ვიყო!.. ჰაი, ჰაი! სადაური ჩემი სახლი? ჩემი სა-
ხლის ფანჯარას რკინები არ აქვს, კარებიც ყველა-
სათვის ღიაა.. გავიციხო?! არა, არა ხელებს შემე-
კრავენ.. (დადის აიღებს პურის ნატებს და ჰამს)
(პაუზა) თავი მიხურს, გულიც მისუსტდება.. ვერ
ვარ ჩემ ჰკუზაზე... ნუ გამიმტყუნებთ: უწვერ-ულვა-
შო, შავ-თმა ხუჭუჭა ვიყავი, როცა აქ დამასახლეს
და ეხლა... (ხელს მოისვამს წვერზე, თავზე ქუდს
მოიხდის-დაუვარცხნელი გრძელი თეთრი თმა-წვერი)
კიდევ, მახსოვს... ბევრი რამ მახსოვს, უფრო მეტი
დამავიწყდა, ჰო, მახსოვს პოეტის სიტყვები: „ძნე-
ლი არის მარტობა სულასა, ტანჯვა, არის შვება
უბედურისა“-ო, ეს შეცდომაა; მე მარტო არა ვარ!
ფიქრი, ოცნება — აი ჩემი მუღმივი აქ თანამგზავრი!
მართალია კაცის სახეს ვერ ვხედავ, და რომც დავი-
ნახო ვეღარც ვიციო იქნებ, მაგრამ მათი ლანდი,
მოჩვენება განუყრელათ ჩემთან არიან და მათ ვე-
საუბრები... ამას ნათლად მოწმობს ჩემი საკანის
ცივი ქვის კედლები. (მივა კედელთან და კითხუ-
ლობს, შეჩერდება ძლიერს არკვევს:) პოლიტიკური



დამნაშავენი ლეიტენანტი შმიდტი, აკაკი, ჯორჯიაშვილი, რაგოზინიკოვა, ფრუშკინა ჩამოახჩვეს ათას ცხრაას... წაშლილია, ვანო. მიშა, შალიკო. მარო, სპირდონოვა — მივდივართ საუკუნოთ კატორღაში; მარუსა, ბენია, თამარა, გრიშა, სიმონ, რაფდენ, გიორგი, მოსე და სხვები წაშლილია, გადაგვასახლეს ციმბირში.. და.. ყველა ამათ რიცხვში მეც ვიმყოფები. ბევრს რამეს მეუბნება ეს კედელი.. საკვირველია, დარაჯის თვალმა როგორ ვერ შეამჩნია ეს ნაწერი და ჩვეულებისამებრ არ წაშალა? ხა, ხა, ხა, ხა... კიდევ, კიდევ! მომაგონდა: სისხლის სამართლის, არა სინდისის დამნაშავენი: დიმიტრე, ივანე, ნიკო, კოწია, ილარიონ, სახლის კაკი გრიგოლი, ვაჰარნი; ჯვარიანი კოწია, სილოვან და კიდევ ბევრი და მათ დასმენით... მეც, აქ ხალხს რყენიდაო! მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს უქადაგებდაო! ხა. ხა, ხა... ჰო, და..

დარაჯი: (აწყვეტინებს) შენ, ეი, ვირო, არ გესმის ჩემი ბრძანება? ნუ ხმაურობ მეთქი! ნუ იცინი!

ილიკო: კაცო, ვერთობი ჩემთვის, ჩემ თავს ველაპარაკები, პრაბაგანდას არ ვეწვევი, სხვა ხომ არავინ არის აქ? არ ვყვირი! ნუ თუ სიცილი, უდანაშაულო სიცილიც აღარ შეიძლება?..

დარაჯი: არ შეიძლება! ხმა! კრინტი! შენ ბრიყვო, შენა!

ილიკო: (მოშორდება კარს) ხმა... კრინტი... ჩაიწყვიტე ახალგაზღვრებზე ხმა, ენა არ დასძრა სიბერე-დეე გათელონ! წყნარათ თავისუფლო! ჩუმათ მონავ!.. ჰაი, ჰაი, რომ ვაგაგიჟებენ.. ამათაც ეს უნდათ, ამათ გაძლებასაც რკინის გული უნდა, რამდენ ნებროძოლთა კლდე გულს გაუძლია და მომავალშიაც მეტი გაუძლებს... გული (ხელს მოიჭერს ახველებს) მაგრამ, ეს გულიც რომ მღალატობს?!. მახსოვს: როცა დამიჭირეს და ქუჩაში ანეტას სახლის წინ გამომატარეს, ანეტამ აივანიდან შემკითხა: ნეტა რას გრძნობს შენი გულიო?!. მარა.. ეჰ! ეს ხომ დიდი ხანია რაც იყო, და ახლა მე მსურს შეგეკითხო ანეტა!! რას გრძნობს შენი გული, როცა ცხოვრებით დამტყპარი, ბედნიერი გიტარას უკრავთ, შენ და ნადეჟდა და ამღერებთ: „ბრძოლა მაგ ძაღლებს“... არა, რას ვამბობ: Сгубили меня твои очи, сгубила твоя красота, семью родную забыла, забила я все для тебя!.. ოჰ! ნუ თუ? არა, არა.. სტყუის.. ახლა ის სხვა არის, ახლა მას ანნას ეძახიან და არა ანეტას... მერე რა? მე ხომ არ ვაიძულებდი ჩემ სი-

ყვარულზე გამომხმარებოდა, სიტყვა საქმეთ ექცია?! დღეს რომ არის, ისეთი ბედნიერი ხომ არ იქნებოდა?! არ იქნებოდა, არა, არა და... მე კი.. ამ გულს თავისუფალი კუნჭული მაინც მისთვის შეუნახავს; და მისით სტოცხლობს, მისკენ ილტვის. მარა.. ოჰ, ეს კრული მარა, ეს წყეული კედლები არ უშვებს და ანეტა კი ამ ციხეს არ მოუახლოვდება — აქ მას აღარავინ ჰყავს, არაფერი დაჩენია!. დეე იყოს აგრე, ოღონდ ვიცოდე რომ ის ბედნიერია და მას უჩივის ცხოვრება, არ უდენინაცვლა ცხოვრებამ... (ხანგრძლივი პაუზა წამოწვება ლოგინზე, ისევ აღდება შედგება სკამზე და გაიყურება ფანჯარაში) ცა და დედა მიწა, აგერ ქალაქი, იქ სოფელი, როგორ მიიკლანება მდინარე... ჩვენი ძვირფასი მტკვარი საყვარელი! მის ტალღებში არა ერთხელ შევეცურებულვარ და უკანასკნელათ გამომრიყა აი აქ, განაპირას... კაცი! როგორ პატარა მოსჩანს.. მეორე.. ჩუ! მესამე... ხალხი... აქეთ მოდიან და ხელს მიქნევენ (ილიკოც უქნევს პაუზა. დააყურებს) სუუ! აჰ! რაო? მოვდივართ, მოვდივართ, ჩვენ გავიმარჯვეთ, შენ უნდა გაგანთავისუფლოთ!! ხომ გესმით?.. ვაშა, ვაშა! ჩვენ გავიმარჯვეთ! გესმის თუ არა? (პირს მიიბრუნებს ხალგისკენ, ისევ ფანჯარაში გაიყურება) მოდით, მოდით... აქ ბევრნი ვართ, ბევრნი... ხოლო ერთმანეთს კი არ ვხედავთ, არ ვგანახვებენ..

გართა დარაჯი: ჩუმათ! ნუ ყვირი, თორემ თოფს გესვრი! მოშორდი ფანჯარას... (ილიკო აღტაცებული აქნევს ხელებს, სცემს ფანჯრის რკინებს, ყვირის, დარაჯი „საყვირს“ უკრავს. საკანში შემოირბენენ ხმაღრველოვერ ამოდებული ციხის უფროსი დარაჯებით, ილიკოს ჩამოათრევენ სკამიდან, ილიკო მუშტს სცემ ყველას.)

ციხის უფროსი: შეჰკარით... არც აქ ისვენებ? ბორკილებმა ვერ მოგარჯულეს?! მე შენ გიჩვენებ? კარგათ გაუთოკეთ ხელები... აი მაგრე (სადზირატლები გაუკრავენ უკან ხელებს).

ილიკო: (იცინის) ბატონო ციხის უფროსო! მებრალებით, რომ ამდენ ხანს ვერ გამოიღვიძეთ... გაიხედეთ კარში, შეხედეთ პირდაპირ იმ სინათლეს და დაინახავთ... გამარჯვებულ ხალხს, თქვენ რომ შემკარით — ისინი ხომ ამხსნიან... მოდიან, მოდიან ჩვენ, შენს განსათავისუფლებლათ... მაშ ასე განა?! მომილოცავს, მომილოცავს... დავივიწყოთ რაც ამდენხანს გვტანჯეთ, ამდენხანს... ახლა ჩვენ ხომ ძმები ვართ, ძმები! (საზარლათ დაიღმუილებს) გამიშვით, გამიშვით ჯალათებო... ძმებო... (იცინის)

ჩამომეცალეთ გზიდან... ჰაერი... ჰაერი... თავისუფლება ძმებო!.. თავისუფლება დებო!.. გვიყვარდეს.. მაშ კარგი!.. ეი, ვინ ხარ? ხალხო, მოდიო, არ მიშვებენ, მახრობენ (აქვითინდება და დავარდება იატაკზე ციხის უფროსი დარაჯს გზავნის ექიმთან, შემოდინ ციხის ექიმი და ფერბალი, ფრთხილად, ექიმი რაღაცას ეჩურჩულება ციხის უფროსს, ილიკო შემამჩნევს შემოსულებს, წამოდგება და გახარებული:

ილიკო: (ექიმს) ძლივს, ძლივს!.. ამდენ ხანს რათ არ მოდიო? რათ დაიგვიანეთ?.. ეხლა მჯერა ამხანაგებო, რომ გავიმარჯვებ... ამათ კი (ციხის უფროსზე აჩვენებს) არ სჯერათ... დედაც მოდის ხომ?... მამაც, რათქმა უნდა!.. ანეტა? მაგრამ, არა ის არ მოვა... ძმები, დები, ყველა, ყველა ხალხიან ერთად... გავიმარჯვებ! გამიშვიო.. (ისევ დავარდება).

ექიმი: (ღმობიერათ) დამშვიდდი ილიკო, მომილოცავს: შენ თავისუფალი ხარ, გავიმარჯვებ ყველანი მოდიან და მოდიან... (ყველა მომქმედნი ილიკოს) მართალია, მართალი ჩვენ გავიმარჯვებ!

ილიკო: (ადგება, გარინდებული დგას, თვლებს აცეცებს და თან დაბალის ხმით იმეორებს) თავისუფალი!.. გავიმარჯვებო... თავის-უ-ფა-ლი... ხა, ხა, ხა, ხა!.. გიხაროდეთ ყოფილო ჯალათებო, დღეს კი ჩემო ძმებო!.. (დაეცემა).

ექიმი: (ციხის უფროსს) ხვალ დილამდი გიყის პერანგი ჩააცვიო, დილას კი საგიჟეთში გადავიყვანოთ.

(ყველანი გავლენ, ილიკო თვალს გააყოლებს, შესქერის ხალხს ნაღვლიანი გამომეტყველებით გიჟები, წამოიძახებს, ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

ფ ა რ დ ა .

26 ივნისი 1908 წ.

დ. მეჩონგურე.

მე-7 ქვეითა ათასეულის ჯ.-კ. ნიკოლოზ ჟიჟიანის ხსოვნას.

მიმდინარე წლის 3 ნოემბერს სოფელ ობჩაში, ქუთაისის მაზრა, გარდაიცვალა მე-7 ქვეითა ათასეულის ჯ.-კ. ნიკოლოზ ამეროსის ძე ყიფიანი. 1918 წლის გაზაფხულზე, როდესაც საქართველოს ისტორიულმა მტერმა ოსმალებმა ხელთ იგდო ბათომი და გამარჯვებით გალაღებული ჩვენი ქვეყნის შუა გულსაკენ მოიწვევოდა, ჩვენს შეგნებულს

ახალგაზრდობაში გაიღევა ფხიზელმა პატრიოტიზმმა, და კეთილი გრძობით ალტყინებული გაემართა მტრის შესახვედრათ: ამ ახალგაზრდასა მოკლის იყო, ჯერ ნორჩი, 19 წლის-კოლია. მისი შურა ბათომის პარტიზანულ რაზმს, რომელიც მაშინ სალი კლდესავით აიშართა ოზურგეთთან ოსმალების წინაშე. ამ რაზმში კოლია იშვიათი სიხალისით მიისწრაფოდა წინ და მისი გულწრფელი და გმირული თავგანწირულება იყო სამაგალითო დანარჩენ ამხანაგებისთვის. ამის შემდეგ ის რაზმთან ერთათ იღებს მონაწილეობას ლაშქრობაში და ომში აწყურთან, დარიალის ხეობაში და სხვაგან. თუ მტერს რისხვად ევლინებოდა ახალგაზრდა კოლია, უფროსებთან იყო თავმდაბალი, სამსახურის და სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებული აღმასრულებელი, აგრეთვე სათნო და საყვარელი ამხანაგებისათვის. ბათომის პარტიზანული რაზმის მე-7 ქვეითა ათასეულად გადაყალიბების დროს ის რჩება ათასეულში, როგორც საუკეთესო ჯარისკაცი, მაგრამ უკვე დაზიანებული ორგანიზმით გამუდმებული ლაშქრობების მძიმე პირობების გამო. ის გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა თავის საყვარელ სოფელში, სადაც დაწვა ლოგინად გაცივებისგან დაზიანებული ფილტვებით. ტანჯვაში განვლო მან წელიწადი და ბოლოს განუტევა სული. მეგობარო კოლია, შენმა დაკარგვამ გაამწარა შენი მშობლები და დასწვა გული შენს ამხანაგებს. შენ მიერ თავგანწირვა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნება მუდამ იქნება მაგალითი შენი ამხანაგებისათვის. მშვიდობით პატიოსანო მხედარო და სამშობლოს ერთგულო შვილო.

გრ. ა.

ჩემი ჩანგი.

დაუკარ ჩემო ჩონგურო
რათა ხარ დარდიანადა,
სიმღერა დაეაგუგუნოთ,
შევძახოთ მაღიანადა...

მომწყინდა მუდამ ვედრება
ჩერჩეტი კარდაკარადა,
აწ თვითონ უნდა ვიშოვო
მე, ბინა თავის თავადა.

ხომ ხედავ, არვინ გვეტებულობს
ხელს არვინ გვიწვდის ძმურადა,
მაგრამ ჩვენ მაინც გმირულად
დავძახოდ ძველებურადა.

საწყალი მუშა.

